

## შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ქართული ხალხური პროზაული ტექსტები

(2007-2009)

#### პრობლემის აღწერა

ქართული ხალხური პროზაული ტექსტების უდიდესი ნაწილი, რომლებიც ჩვენი ინსტიტუტის და სხვა ფოლკლორულ არქივშია დაცული, დღემდე გამოუქვეყნებელია. ამდენად, არა ერთი უნიკალური ნიმუში ჩვენი ხალხური სიტყვიერებისა არც სპეციალისტებისათვის არის ხელმისაწვდომი და მითუმეტეს – არც საზოგადოებისათვის. უკვე გამოქვეყნებული მასალაც, რაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული იბეჭდებოდა, მრავალ ათეულ კრებულსა თუ პერიოდულ გამოცემაშია გაფანტული.

#### პროგრამის მიზანი

პროექტი სამწლიანია. პირველ ეტაპზე, 2007 წელს, თავი მოუყარეთ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია. გამოსაცემად მოვამზადეთ პირველი 3 ტომი, რომლებშიც შევიდა ცალკეულ ნაწარმოებთა ძირითადი ტექსტები, მათი ვარიანტები, სათანადო საპასპორტო მონაცემებითა და შენიშვნებით. ესენია: სამი ძმის, სამი დის მოტივებთან დაკავშირებული ჯადოსნური ზღაპრები, მითები და თქმულებები.

2008 წელს მოვამზადებთ მრავალტომეულის კიდევ 5 წიგნს; ორი კრებული დაეთმობა ჯადოსნურ ზღაპრებს, ერთი – ნოველისტურ ზღაპრებს, ერთი – მითებს და ერთიც – გადმოცემებს.

#### პროგრამის განხორციელების გზები

ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის თბილისში არსებული ყველა ძირითადი ფოლკლორული არქივიდან თავს მოგუყრით ხალხური პროზის ნიმუშებს, დავაჯგუფებთ, ჯერ უანრების, შემდეგ თემატიკის მიხედვით; გამოვყოფთ ცალკეულ ნაწარმოებთა ძირითად ტექსტებს, დავახარისხებთ მათ ვარიანტებს, დავურთავთ სათანადო პასპორტებს, შენიშვნებსა და საძიებლებს.

#### მოსალოდნელი შედეგები

პროგრამაზე სამწლიანი მუშაობის შემდეგ მივიღებთ „ხალხური პროზის მრავალტომეულს“ – 15 ტომს, რომლებშიც შევა: ზღაპრები (ცხოველთა, ჯადოსნური, ნოველისტური), თქმულებები, გადმოცემები, ლეგენდები, შელოცვები, მახვილსიტყვაობა.

## შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

სამ თვეში ერთხელ მოხდება მოძიებული მასალების განხილვა, სისტემატიზაცია და ჩატარებული სამუშაოს შეჯამება განყოფილების სხდომებზე.

პროგრამის კოორდინატორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ჩოლოყაშვილი. პროგრამა ხორციელდება მეცნიერთა ჯგუფის მიერ.

## გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება და მოღვაწეობა

(2008-2009)

### პრობლემის აღწერა

2009 წელს სრულდება დიდი ქართველი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის წმ. გიორგი მთაწმიდლის დაბადებიდან 1000 წლისთავი. ამ მნიშვნელოვან თარიღს, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ამიტომ ინსტიტუტის მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა შექმნას ახალი გამოკვლევები ამ ბუმბერაზი შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებზე. თემა ორწლიანია: პირველ წელიწადს გათვალისწინებულია ძირითადად გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებისა და მისი ლიტერატურული გარემოსადმი მიძღვნილი ნაშრომები, ხოლო მეორე წელიწადს – მწერლის შემოქმედებისა და მთარგმნელო-ბითი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

### პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია გააანალიზოს გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, ერთგვარად შეავსოს და შეაჯამოს ჩვენ მეცნიერებაში ამ კუთხით წარმოებული ძიებები; შეძლებისდაგვარად გამოავლინოს ახალი მასალები, წამოაყენოს ახალი მოსაზრებანი და არგუმენტირებული შეხედულებანი.

### პროგრამის განხორციელების გზები

პროექტში გაერთიანებული არიან კვალიფიციური მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებიც კარგა ხანია იკვლევენ ძველი ქართული მწერლობის ცალკეულ პრობლემებს. ისინი ფლობენ ფილოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს, ადჭურვილნი არიან სათანადო თეორიული ცოდნით, რაც პროექტის წარმატების უპირველეს პირობად მიგვაჩნია.

### მოსალოდნელი შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო ხასიათის თემატური კრებული, რომელშიც მთელი სისავსით იქნება წარმოდგენილი გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება და სამწერლო შემოქმედება. ეს იქნება ლიტერატურის ინსტიტუტის სერია “გზამკვლევის” რიგით მეორე კრებული (მეცნიერთა ამ ჯგუფმა უკვე მოამზადა გამოსაცემად ამ სერიის პირველი კრებული). ის ერთგვარ მეგზურობას გაუწევს როგორც ხსენებული მწერლის მოღვაწეობით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და სტუდენტებს, ისე – ფართო მკითხველ საზოგადოებას.

### შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:

2008 წლის ყოველ კვარტალში განყოფილების სხდომაზე პროექტის მონაწილეთა მიერ წაკითხულ იქნება მოხსენებები ჩატარებული სამუშაოს შესახებ. კრებულში შესული გამოკვლევების მონიტორინგს უზრუნველყოფს აგრეთვე სერია “გზამკვლევის” სარედაქციო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია კრებულის სამეცნიერო ხარისხისა და ღირებულებაზე.

პროგრამის კოორდინატორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სოსო მახარაშვილი.

## ლიტერატურულ სიმბოლოთა ინტერტექსტუალური რეტროსპექცია

(2008)

### პრობლემის აღწერა

სიმბოლო – ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ფენომენია ნებისმიერ ლიტერატურულ ტრადიციაში. თვალმიდევნება იმისა, თუ როგორ გადაიქცევა ჩვეულებრივი მხატვრული სახე სიმბოლოდ, ამავე დროს დაკვირვებაა მწერლობის იმანენტურ, სიდრმისეულ ტენდენციებზე. სევე მრავლისმეტყველია სიმბოლოს ფუნქცია მხატვრული ნაწარმოების სივრცეში: მაგალითად, „იდეოლოგიური“ (როგორც, ვთქვათ, ჩვენს ჰაგიოგრაფიაში); ტრადიციული „რეკვიზიტისა“ (როგორც აღორძინების პოეზიაში); ფილოსოფიურ-მინიშნებითი (რომანტიკოსებთან) თუ დომინანტური და განმსაზღვრელი მხატვრული თვალთახედვისა (სიმბოლისტებთან).

სიმბოლოს „ფუნქციონალური“ ასპექტის შეჯერება მისი აღმოცენება-დაცხრომის „დიაგრამასთან“ განსაკუთრებით საინტერესოა, როდესაც ლიტერატურათა ტიპოლოგიურ მსგავსება-განსხვავებებზე ვმსჯელობთ. მიტომაც აუცილებელია ლიტერატურულ სიმბოლოთა ინტერტექსტუალური გაშინაარსება, რისი ტენდენციებიც უკვე იკვეთება თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

### როექტის მიზანი

„ლიტერატურულ სიმბოლოთა ინტერტექსტუალური რეტროსპექცია“ ერთგვარი მეგზურის მაგივრობას გასწევს მკვლევართათვის. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მთის „ლიტერატურული ბიოგრაფია“ (ბიბლიური ნაწილის ჩათვლით) და სიმბოლოთა ის ვრცელი მწკრივი, რომელიც მთას უკავშირდება. ჩვენს მომავალ ნაშრომში მკითხველი იხილავს ქართულ ჰაგიოგრაფიაში „ამოზრდილ“ მთასაც და ამ სიმბოლოს შემდგომ იერცვალებასაც ილიას, ვაჟას, გალაკტიონის შემოქმედებაში. ჩხადია, არც თომას მანის „ჯადოსნური მთა“ ან იასუნარი კავაბატის „მთის კვნესა“ არ იქნება უგულველყოფილი.

### როექტის ამოცანები

დარწმუნებულნი ვართ, ის წიაღსვლები ლიტერატურის ისტორიისა და ფოლკლორის სფეროდან, ის კულტუროლოგიური აღუზიები და სოციოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალის ხშირად პარადოქსული მეზობლობა, რომელსაც ჩვენი კოლეგები (ან მომიჯნავე დარგთა სპეციალისტები) „ლიტერატურულ სიმბოლოთა ინტერტექსტუალური რეტროსპექციის“ ფურცლებზე იხილავენ, მათ რაღაც ახალი წახნაგით დაანახებენ უკვე ნაცნობ პერსონაჟებსა და კოლიზიებს.

### როექტის განხორციელების გზები

2007 წლის განმავლობაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორი ძირითადი ამოცანის შესრულება: ეს გახლდათ მაქსიმალურად ყოვლისმომცემელი ბიბლიოგრაფიის შედგენა და მეორე წინაპირობა ჩვენი წარმატებული მუშაობისა - „სიტყვარი“, რომელსაც, თავის მხრივ ორი დანიშნულება აქვს: ერთის მხრივ, ეს, ტრადიციისამებრ, გახლავთ „ლიტერატურულ სიმბოლოთა ენციკლოპედიის“ მომავალი გამოცემის ტერმინოლოგიური ნუსხა, მეორეს მხრივ კი, ამ „სიტყვართ“ გასაზღვრულია სამეცნიერო შრომის ავტორების სიმბოლოლოგიური ინტერესების არეალი.

ოლკლორის განყოფილების სხდომაზე ჩვენ განყოფილების თანამშრომლებს გავაცანით საენციკლოპედიო სტატია „სიკვდილი და იმქვეყნიური სამყარო“. ს იყო

ერთგვარი აპრობაცია იმ ენციკლოპედიური სტილისა, რომლითაც უნდა დაიწეროს მომავალი „ლიტერატურულ სიმბოლოთა ენციკლოპედია“.

იტერატურულ სიმბოლოთა სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა გახლდათ პროექტის განხორციელების პირველი ეტაპი; მეორე ეტაპზე დაკონკრეტდა სახე-სიმბოლოთა ის ნუსხა, რომელიც განსაკუთრებით სპეციფიკურია ქართული მწერლობისათვის და მომავალი შრომის ერთგვარ სიტყვარს წარმოადგენს. კოლეგათა განსახილველად, როგორც ნიმუში, მომზადდა, აგრეთვე, რამდენიმე სტატია განსაკუთრებით ნიშანდობლივ ლიტერატურულ სიმბოლოთა შესახებ.

ქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუშაობისათვის ძალზე სასარგებლო იყო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ქ. ერევანში გაიმართა გასული წლის ბოლოს. მ კონფერენციაზე ჩვენ წარვსდექით მოხსენებით „სიმბოლოთა ნაციონალური ენციკლოპედიის შექმნის გამოცდილების შესახებ“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია და იგი დაიბეჭდა კონფერენციის მასალათა კრებულში.

### ოსალოდნელი შედეგები

რაც შეეხება პროექტის განხორციელების შემდგომ პერსპექტივებს, ჩვენ ვიმედოვნებთ, ლიტერატურულ სიმბოლოთა ინტერტექსტუალური რეტროსპექციის კვლევა, საფუძვლად დაედება „ლიტერატურულ სიმბოლოთა ლექსიკონს“, რომლის ხელნაწერიც, ჩვენი ვარაუდით, 2008 წლის დასასრულისათვის უკვე მზად უნდა იყოს.

ჩვენ აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „ლიტერატურულ სიმბოლოთა ლექსიკონი“ მიჩნეულ იქნება დამხმარე სახელმძღვანელოდ მომავალ ფილოლოგთათვის, ხოლო ჰუმანიტარულ სპეციალობებზე ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში შემოდებული იქნება სიმბოლოლოგიის სპეცკურსი სამაგისტრო დონეზე.

### შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

როგორც ითქვა, ფოლკლორის განყოფილებაში წავიკითხეთ მოხსენება, რის შემდეგაც შესდგა შესაბამისი დისკუსია, ხოლო წლის ბოლოს წარვადგინეთ წერილობითი ანგარიში. იგულისხმება, რომ ეს ზეპირი მოხსენებებიც, წერილობითი ანგარიშიც და პროექტის განხორციელების განმავლობაში სამეცნიერო პრესაში გამოქვეყნებული მასალა აღნიშნული თემიდან სათანადოდ შეფასდება როგორც საკუთრივ სპეციალისტების, ისე ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ.

როექტის კოორდინატორი: პროფესორი ზაზა აბზიანიძე, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

## ძიარი ზნეობრივი ასპექტები ქართულ მწერლობასა და ზეპირსიტყვიერებაში

(2008)

### პრობლემის აღწერა

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა და ხალხური სიტყვიერება სამაგალითო სიციხადით, მევეთრად და დამაჯერებლად წარმოაჩენდა და დღესაც წარმოაჩენს მრავლისმომსწრე ერის სულიერ სამყაროს, მის მენტალიტეტს, ზნეობრივ სახეს.

კლასიკური მემკვიდრეობისკენ მიბრუნებას, მის სწორ წაკითხვას, აღქმასა და გათავისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, ვინაიდან ჩვენ ვდგავართ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პროცესების – ინტეგრაციისა და გლობალიზაციის აშკარა საფრთხის წინაშე, საფრთხისა, რომელიც თავისთავადობის წაშლით და წართმევით ემუქრება მცირერიცხოვან ერებს.

წარსულთან დაშორებას და გაუცხოებას მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. უარსაყოფი უნდა უარიყოს, მაგრამ, ამასთან, აუცილებელია იმ ცალსახად პოზიტიურისა და მისაღების გამოცალკეება და გამოყენება, რაც საუკუნეთა განმავლობაში ქვეყნის სულიერი არსებობის საყრდენსა და ქვეყნისთვის წარმოადგენდა.

მისაბადი ზნეობრივი მაგალითებით ერთობ მდიდარია როგორც ჩვენი მწიგნობრული ლიტერატურა, ისე ზეპირსიტყვიერება და ყოველივე ამის განგებ დაფიქრება თუ გაუთვალისწინებლობა შავ დაღად დააჩნდება ისედაც ბურუსოვან მომავალს.

პროგრამის მიზანია ზეპირი თუ წერილობითი სახით არსებული იმ სულიერი მემკვიდრეობის გახსენება და გამოსვლა წარსულის წიაღიდან, რის გარეშე საკუთარი მე-ს შეცნობა ძალზე გაუჭირდებათ მომავალ თაობებს.

პროგრამის განხორციელების გზები გულისხმობს ფაქტობრივი მასალის მოძიებას, საფუძვლიან გაცნობას, შეჯერებას და კვლევის სათანადო მეთოდოლოგიაზე დამყარებულ შესწავლას... საორიენტაციოდ შერჩეული სფერო არ განიცდის შესატყვისი ტექსტების სიმწირეს, რაც, ვფიქრობთ, წარმატებული მუშაობის და ანგარიშგასაწევ შედეგებამდე მისვლის მყარი წინაპირობაა.

მოსალოდნელი შედეგები. გამოკვლევაში გამოყენებული საარგუმენტაციო მასალა და ამ მასალის განსჯა-გაანალიზების გზით მიღებული დასკვნები მკითხველს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს იმ მარტივ ჭეშმარიტებაში, რომ ადამიანის საამსოფლო მისია სიკეთის მსახურებაში მდგომარეობს და არაფერი ისე არ შეენის ცოცხალი ბუნების გვირგვინად გაჩენილ მოაზროვნე არსებას, როგორც დიდბუნებოვნება, სულიერი სისუფთავე და ზნეობრივი სიმაღლე.

### შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

2008 წლის ყოველ კვარტალში განყოფილების სხდომებზე სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ წარდგენილი და განხილული იქნება ანგარიში, რათა მომავალი მუშაობისას ყველა შენიშვნა სათანადოდ იყოს გათვალისწინებული.

პროგრამის კოორდინატორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან არაბული.

## დასავლეთ ევროპული ლიტერატურა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

(ქრესტომატიის მომზადება, ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი ინტერნეტში განთავსება)

(2007-2008)

### პრობლემის აღწერა

აღნიშნული პროექტი გულისხმობს ცნობილი ქართველი მწერლებისა და კრიტიკოსების დასავლეთ ევროპული ლიტერატურის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) შესახებ არსებული წერილების თავმოყრას, ბიბლიოგრაფიულ-სამეცნიერო-საექსპერტო სამუშაოების ჩატარებას, მოპოვებული მასალების მეცნიერულ შესწავლა-შეფასებასა და გამოსაცემად მომზადებას (XIX საუკუნე – 1930 წლამდე).

პერიოდულ პრესასა და ცალკეულ გამოცემებში მკვლევართათვის უცნობი უამრავი მასალაა გაბნეული. ქართველი მწერლები დიდ ინტერესს იჩენდნენ ევროპული მწერლობის მიმართ და, სამწუხაროდ, ასეთი ტიპის ქრესტომატიის გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა.

პროგრამის მიზანია ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის, ანტონ ფურცელაძის, ეკატერინე გაბაშვილის, ეკატერინე მესხის, ნიკოლოზ ყიფიანის, გრიგოლ ყიფშიძის, იოსებ ბაქრაძის, კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, კოკი აბაშიძის, არჩილ ჯაფანაშვილის, ივანე გომართელის, აკაკი პაპავას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე კაპანელის, იოსებ გრიშაშვილის, "ცისფერყანწელთა", გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალ. აბაშელის და მრავალი სხვა მწერლის (მათ შორის ემიგრაციაში მყოფთა) წერილების შეკრება, გამოცემა, ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი ინტერნეტში განთავსება. შეჯამებული იქნება მიღებული შედეგების მეცნიერული ანალიზი.

### პროგრამის განხორციელების გზები:

პროექტი "ქართველი მწერლები და კრიტიკოსები დასავლეთ ევროპული ლიტერატურის შესახებ ქრესტომატიის მომზადება, ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი ინტერნეტში განთავსება" 2 წლიანია (2007-2008) და გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: ტექსტების მოძიება – შეჯერება-დახარისხება - საექსპერტო შეფასება – რედაქტირება – ქრესტომატიის გამოსაცემად მომზადება (2007). ბიბლიოგრაფიის პროგრამული დამუშავება (საინტერნეტო სახის მიცემა) – რედაქტირება – ინტერნეტში განთავსება (2008).

მოსალოდნელი შედეგები: პროექტში „ქართველი მწერლები და კრიტიკოსები დასავლეთ ევროპული ლიტერატურის შესახებ“ ქრესტომატიის მომზადება თვალსაჩინოსა და იოლად ხელმისაწვდომს გახდის (როგორც ქართველი, ისე უცხოელი ქართველოლოგებისათვისაც) ქართულ მწერლობის დაინტერესებას ევროპული კულტურით. ბიბლიოგრაფიის სტრუქტურირებულ მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი ინტერნეტში განთავსება ხელს შეუწყობს ქართულ-ევროპული კულტურული ლიტერატურული საკითხების შემდგომ შესწავლას.

### შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები



2008 წელი – მოძიებული და საექსპერტო შეფასებაგავლილი მასალის რედაქტირება, ინტერნეტში განთავსება და ქრესტომათიის გამოსაცემად მომზადება. შესრულებული სამუშაოს განხილვა ყოველკვარტლურად, საინსტიტუტო სემინარებზე.

**პროგრამის კოორდინატორები:** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ ვასაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ ციციშვილი. პროგრამა სრულდება მეცნიერთა ჯგუფის მიერ.

## XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის ქრესტომათია

(2008-2013)

### პრობლემის აღწერა

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ინსტიტუტში ლიტერატურის თეორიის განყოფილება, არსებული სამეცნიერო რესურსების საშუალებით, ცდილობდა თანამედროვე დასავლური თეორიული ნააზრევის გაცნობას ქართველი სტუდენტებისა თუ სამეცნიერო წრეებისთვის. პროგრამა “XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის ქრესტომათია” აღნიშნულ მიმართულებას აგრძელებს. პროგრამა სახელგანთქმულ დასავლელ მოაზროვნეთა მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნას და ნათარგმნი ტექსტების რედაქტირებას ითვალისწინებს. მასში შესული იქნება XX საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის თუ მიმართულების წარმომადგენელთა კონცეპტუალური ტექსტები – სტრუქტურალისტთა, პოსტსტრუქტურალისტთა, დეკონსტრუქტივისტთა თუ მკითხველის რეაქციის კრიტიკის წარმომადგენელთა ტექსტები. ეს არის მეორე ნაწილი (წიგნი) სამწლიანი პროექტისა. პირველი ნაწილი/წიგნი, სადაც შესული იქნება რუსული ფორმალისმის თუ პრადის სტრუქტურალისტთა სკოლის, დასავლური მარქსიზმის, ფენომენოლოგიის წარმომადგენლების ნაშრომები, რომელთა რაოდენობაც 24-ია. მიმდინარე პროექტი კი 25 ტექსტის თარგმნას ითვალისწინებს.

### პროგრამის მიზანი

ჩვენს სივრცეში დასავლელ თეორეტიკოსთა ნააზრევით დაინტერესებულთ დასავლური თეორიული ტექსტების გაცნობა ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ენაზე უწევთ. ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაო ითვალისწინებს თანამედროვე თეორიული სკოლების ნააზრევის და ამ სკოლების თვალსაჩინო წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ტექსტების თარგმნას ქართულ ენაზე, რაც შემდგომში დასავლური თეორიების ჩვენს კულტურულ სივრცეში ათვისების გარანტი გახდება. ეს საქმე, უდავოდ, მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თანამედროვე ინტელექტუალი წარმოუდგენელია თეორიული საფუძვლების ცოდნის გარეშე. აღნიშნულ ქრესტომათიაში შესული ტექსტები კი ამ პრობლემის შეძლებისდაგვარად მოგვარებას გულისხმობს. დღეს ამ სამუშაოს ჩატარების რეალური საშუალება არსებობს, რაშიც იმთავითვე იგულისხმება როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე ადამიანური, პროფესიული რესურსები. აღნიშნული ქრესტომათიის პოტენციურ მკითხველად გვეგულებიან არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები, ხელოვანები ან, უბრალოდ, თეორიული საკითხებით დაინტერესებული პირები.

### პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანაა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ თუ რუსულ ენებზე არსებული ტექსტების ჩამონათვალის შედგენა, მათი მოპოვება და ქართულ ენაზე თარგმნა-რედაქტირება.

## **პროგრამის განხორციელების გზები**

პროგრამაში “XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის ქრესტომათია” იმუშავენ ლიტერატურათმცოდნეთა ჯგუფი, რომლებიც ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ თუ რუსულ ენებზე არსებულ მასალას თარგმნიან და რედაქტირების შემდეგ გამოსაცემად მოამზადებენ.

## **მოსალოდნელი შედეგები**

პროგრამა “XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის ქრესტომათია-II”, პირველ რიგში, სტუდენტებისთვის იქნება საგულისხმო. ქრესტომათია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს არა მხოლოდ დასავლური თეორიული მიმართულებების გაცნობას, არამედ ამა თუ იმ ნაშრომში წარმოდგენილი კონცეპტუალური ტერმინების ქართულ სივრცეში ათვისება-დამკვიდრებას გულისხმობს. კულტურის და ლიტერატურის მკვლევარებს კი, კრებული შემდგომი კვლევების ჩატარებისას დიდ დახმარებას გაუწევს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, მაგალითისთვის, დღეს დასავლეთში თეატრის რეჟისორები, კლასიკური ნაწარმოების ინსცენირებისას ამა თუ იმ თეორეტიკოსის ნაშრომით ხელმძღვანელობენ, ნათელი გახდება ამ ქრესტომათიის მნიშვნელობა ხელოვანებისთვისაც.

## **შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს 16 ლიტერატურათმცოდნე. მათგან 4 მკვლევარი დაკავებული იქნება ნათარგმნი ტექსტების რედაქტირებით, ხოლო დანარჩენი 12 მკვლევარი – ტექსტების თარგმნით. მუშაობის შედეგების განხილვა ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

**პროგრამის კოორდინატორი:** გაგა ლომიძე

## კრებული გალაკტიონოლოგია – IV

(გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკა (1908-1914წ.წ.))

(2007-2008)

### პროექტის აღწერა

გალაკტიონ ტაბიძემ შექმნა ქართული „ახალი პოეზია“, რომელთანაც ევროპული და რუსული პოეზია ევოლუციის გზით მივიდა, რადგან მათი რომანტიკული ხაზი უწყვეტი იყო. გალაკტიონს თავად მოუხდა ნიადაგი მოემზადებინა ახალი პოეზიისათვის. ამისთვის კი საჭირო იყო ჯერ რომანტიკული ტრადიციის რესტავრირება, მკითხველის ცნობიერების მომზადება, შემდეგ მისვლა ახალ განწყობილებებსა და ესთეტიკურ იდეებთან. სწორედ ეს ისტორიული მისია შეასრულა გალაკტიონ ტაბიძის ადრეულმა ლირიკამ. თუ ქართული პოეზია გადარჩა რუსულ-ევროპული „ახალი პოეზიის“ ეპიგონობას და ევროპული კრიზისული კულტურის პრობლემები მიიღო, როგორც საკუთარი პრობლემები, ეს გალაკტიონ ტაბიძის დამსახურებაა. გალაკტიონმა აღადგინა და ამ გზით თავადვე მოამზადა ის ტრადიცია, რომელმაც ბუნებრივი, ევოლუციური სახე მისცა ქართული პოეზიის განახლებას.

ეს აზრი, რომელიც წინამდებარე პროგრამის კონცეპტუალური საფუძველია, მკვეთრად უპირისპირდება დღემდე დამკვიდრებულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც, 1908-1914 წლები გალაკტიონის შეგირდობის ხანა იყო. ამ კონცეფციის მეცნიერული დაფუძნება არა მხოლოდ სრულიად ახლებურ კონტექსტში ათავსებს გალაკტიონის მთელ შემოქმედებას, არამედ საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ქართულ-დასავლური კულტურების მიმართების ხასიათი XX საუკუნეში, საუკეთესო ტრადიციის გათვალისწინებით გამოიკვეთოს შემდგომი პერსპექტივები.

**პროგრამის მიზანია,** ლიტერატურისმცოდნეობითი მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა შუქზე გალაკტიონის ადრეული შემოქმედების პრობლემატიკის ახლებური გააზრებით, საფუძველი მოემზადოს მისი პოეტური მემკვიდრეობის შემდგომ კვლევას.

გალაკტიონის ადრეული შემოქმედების რეალური სტატუსის გამოსაკვეთად, უპირველესად საჭიროა დადგინდეს შესასწავლი ობიექტის პარამეტრები, მისი გენეზისის, ტიპოლოგიისა და პოეტიკის ძირითადი მახასიათებლები, რაც დღემდე საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა.

### პროგრამის განხორციელების გზები

გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებასთან დაკავშირებული საარქივო, ბეჭდური, ფოტო და ა.შ. მასალათა მოპოვებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგად დამუშავება შემდეგი თემებისა:

1. გალაკტიონ ტაბიძის რომანტიკული პოემები;
2. სამშობლოს კონოტაციები გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში;
3. „მზა“ პოეტურ კონცეპტთა გენეზისისათვის გალაკტიონ ტაბიძის ადრეულ ლირიკაში;
4. აკაკი წერეთლის პოეზია გალაკტიონის რეცეფციაში (1908-1914წ.წ.);
5. გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა ფორმირების ადრეულ ეტაპზე (1908-1914წ.წ.);
6. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა;
7. რედაქტირება და კომპიუტერული უზრუნველყოფა.

### **მოსალოდნელი შედეგები:**

პროგრამის დასასრულისთვის, ძირითადად, მზად იქნება კოლექტიური ნაშრომი, რომელიც საფუძვლად დაედება 2008 წელს გალაკტიონის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულს – „გალაკტიონოლოგია“ – IV-ს.

ამასთანავე, მოპოვებული მასალების დამუშავებით, ნიადაგი მომზადდება გალაკტიონის ვებ-გვერდის სამეცნიერო ნაწილის შესაქმნელად, რასაც ითვალისწინებს გალაკტიონის კვლევის ცენტრის პერსპექტიული გეგმა.

### **შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:**

მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოპოვებული XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული პრესის, ბეჭდური და საარქივო მასალების შესწავლის შედეგების შესახებ საანგარიშო მოხსენებების წაკითხვა კვლევითი ცენტრის გაფართოებულ სხდომებზე. წარმოდგენილ ნაშრომთა უნიფიცირება, სამეცნიერო და საგამომცემლო რედაქტირება; შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა კრებულის გამოცემის წინ.

**პროგრამის კოორდინატორი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი როსტომ ჩხეიძე.  
პროექტი ხორციელდება მეცნიერთა ჯგუფის მიერ.

## ფოლკლორის არქივში დაცულ ხელნაწერთა

აღწერილობა

(2007-2009)

### პრობლემის აღწერა

არსებული არაეფექტური საძიებო საშუალებების (დაფორების) გამო შეუძლებელია არქივში დაცული ხელნაწერების და სხვა მასალების (ფოტო, აუდიო) ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა და სამეცნიერო საგამომცემლო მიზნებისათვის გამოყენება.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში 1996 წლიდან ხორციელდება პროექტი “საარქივო მასალების დოკუმენტაცია”. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მონაცემთა ბაზა. სადღეისოდ ბაზაში შესულია მონაცემები 23 000 ტექსტის შესახებ და 3 000-მდე ტექსტის დასკანერებული ფაილი.

აღნიშნული მონაცემთა ბაზის რთული სტრუქტურულიდან გამომდინარე (იგი ითვალისწინებს ტექსტის 26 ნიშნის მიხედვით აღწერა-სისტემატიზაციას), საარქივო მასალების მონაცემთა ბაზაში სრული სახით შეტანა შორეულ პერსპექტივად განიხილება. არქივში დაცულ ხელნაწერებსა და სხვა მასალებზე (ფოტო, აუდიო) არსებული ურთიერთგამომრიცხავი წარმოდგენების პირობებში, რაც სისტემატიზაცია-კატალოგიზაციის აქამდე არსებული წესის და ტექნიკური საშუალებების პრიმიტიული ბუნებით, აგრეთვე საარქივო მასალების გამოქვეყნების პროცესში დაშვებული შეცდომებითაა განპირობებული, აუცილებელი ხდება ახალი აღწერილობის შედგენა-გამოქვეყნება.

2007 წელს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს ის ნაწილი, რაც გულისხმობდა XX საუკუნის რეგისტრირებული ხელნაწერი კოლექციების ინვენტარიზაცია-კატალოგიზაციას დასრულებულია. აღნიშნული პროექტი 2008 წელს ითვალისწინებს იმავე სახის სამუშაოების ჩატარებას არქივში დაცულ არარეგისტრირებულ ხელნაწერებზე.

პროექტის მიზანია არქივში დაცული დოკუმენტების კატალოგიზაცია.

### პროექტის ამოცანები

მიზნის შესაბამისად პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

1. სისტემატიზაციის პრინციპისა და კატალოგიზაციის ფორმის შემუშავებას;
2. ხელნაწერების მოცემული სტრუქტურის მიხედვით დამუშავება-აღწერას;
3. აღწერილი მასალების კომპიუტერში შეტანას;
4. კატალოგის გამოსაცემად მომზადებას.

### პროექტის განხორციელების გზები

პროექტი განხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. მოხდება დოკუმენტების დიდ მასივებად დაყოფა. მაგ., უმიკაშვილის ფონდი, სახელმწიფო მუზეუმის ფოლკლორული ხელნაწერების ფონდი, და სხვა;
2. შემუშავდება და დაზუსტდება სისტემატიზაციის სქემა;
3. მოხდება მასალების მოცემული სქემის მიხედვით აღწერა;
4. აღწერილი მასალა შევა კომპიუტერში;
5. მოხდება შეტანილი მასალის რედაქტირება;
6. მომზადდება კატალოგი გამოსაცემად.

## **მოსალოდნელი შედეგები**

კატალოგი დაეხმარება ფოლკლორისტებს აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებს კვლევისათვის საჭირო მასალის შერჩევაში. შექმნის ზოგად წარმოდგენას არქივში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოცულობისა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე.

## **შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

პროექტის შედეგები განისაზღვრება არქივში დაცული ხელნაწერი მასალების სრული დაფარვის შესაძლებლობით და კატალოგზე დართული სამეცნიერო აპარატურის ეფექტურობით.

**პროგრამის კოორდინატორი:** მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ელგუჯა დადუნაშვილი.

# გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ესეისტიკის მითოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური ასპექტები

(2008)

## პრობლემის აღწერა

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ესეისტიკა ქართულ ენაზე ჩვენში მხოლოდ ამ ბოლო წლებში ითარგმნა (ამ ესეების ერთი ნაწილი ჯერაც მიუწვდომელია, მხოლოდ ტექსტების სათაურებია ცნობილი). გერმანულენოვანი შემოქმედება მწერლის სრულიად განსხვავებულ სამყაროს გვაცნობს: ეს ის თხზულებებია, რომელთაც გრ. რობაქიძეს 1930-1940-იან წლებში ევროპაში საყოველთაო აღიარება მოუტანეს. სამწუხაროდ, ამ ტექსტების უმეტესობა დღემდე არაა სათანადოდ შეფასებული და გაანალიზებული, რაც რობაქიძის მცოდნეობაში სერიოზული ხარვეზია. უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანზე დღემდე მცდარი შეხედულება არსებობს, რაც უცილობლად უნდა გასწორდეს.

## პროგრამის მიზანი

ჩვენი პროგრამის მიზანია გრ. რობაქიძის დღემდე ცნობილი გერმანულენოვანი ესეისტიკის სრულყოფილი შესწავლა, რაც ორ ეტაპად ჩავიფიქრეთ: 2007 წელს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით განვსაზღვრეთ ესეისტიკური ჟანრის თავისებურებანი, ტექსტების ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინეთ გრ. რობაქიძის თანამედროვე თუ ისტორიული პირების ესეისტიკური პორტრეტები. 2008 წელს განზრახული გვაქვს, გამოვიკვლიოთ გრ. რობაქიძის გერმანულენოვანი ესეების მითოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური ასპექტები, რაც ჩვენ სინამდვილეში პირველად ხდება.

## პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანაა, გრ. რობაქიძის გერმანულენოვანი ესეების მითოლოგიური შრეების გამოვლენა, თაურფენომენის პარადიგმის შესწავლა, ბიბლიური მოტივების რემინისცენციების გამოკვლევა, ესეთა ფილოსოფიური საფუძვლების დადგენა, ასევე, ქართული რეალობიდან მომდინარე პარალელების შესწავლა – გერმანულენოვანი ესეების კავშირის დადგენა მწერლის შემოქმედებასთან. ცალკე კვლევის საგანია დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართების გრ. რობაქიძისეული გაგება.

## პროგრამის განხორციელების გზები

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ ქართულ ენაზე ვთარგმნეთ გრ. რობაქიძის ესეების კრებული “დემონი და მითოსი”, ასევე, “ადოლფ ჰიტლერი” და “მუსოლინი”. ეს ტექსტები გაანალიზებულ იქნება ჰერმენევტიკული მეთოდის გამოყენებით, ამასთან, დაძებნილ იქნება ის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა, რაც ჩვენი მიზნის მიღწევისთვისაა აუცილებელი.



## მოსალოდნელი შედეგები

პროექტის საბოლოო დასრულების შედეგად შეივსება ის ხარვეზი, რაც რობაქიძის მცოდნეობაში მწერლის გერმანულენოვანი შემოქმედების კვლევის არარსებობითაა გამოწვეული. ასევე, უფრო ნათელი გახდება ევროპაში გრ. რობაქიძის პოპულარობის რეალური მიზეზები და გაიფანტება ის დაუმსახურებელი ეჭვები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე უკავშირდებოდა ცნობილი მწერლის სახელს.

## შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

კვლევის შედეგები წარმოდგენილ იქნება სამეცნიერო მოხსენებებსა და სტატიებში.

პროგრამის კოორდინატორი და შემსრულებელი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მანანა კვატაია.

## თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნარატივი

(2008–2009 წ.წ.)

### პრობლემის აღწერა

ნარატიული თვალსაზრისით ქართული პროზა ნაკლებადაა შესწავლილი. თანამედროვე ქართული ლიტერატურა გამოირჩევა ნარატიული მრავალფეროვნებით. ნაშრომში წარმონდობა პოსტმოდერნისტული და რეალისტური ნარატივების რაგვარობა, სხვადასხვა თხრობითი მოდელები, ნაირფეროვან დისკურსთა ვარიაციების პრინციპები. ნარატოლოგიის კონტექსტში ახლებურად იქნება გააზრებული და გაანალიზებული ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები (ოთარ ჭილაძე, ოთარ ჩხეიძე, გურამ დონანაშვილი, რეზო ჭეიშვილი, გოდერძი ჩოხელი, გივი მარგველაშვილი, აკა მორჩილაძე, კოტე ჯანდიერი, გურამ ოდიშარია, გელა ჩქვანავა, ირაკლი სამსონაძე, ვანო ჩხიკვაძე, კობა იმედაშვილი, ზაზა თვარაძე, ზურაბ ლავრელაშვილი და სხვ.), მხატვრული ტექსტის სტრატეგიები და თხრობის ფუნდამენტური პრინციპები, ამბის გადმოცემისა თუ პერსონაჟთა ხატვის მოდულები, „შინაგანი და გარეგანი პერსპექტივები“, ავტორისეული თხრობის ნეიტრალურ–ოლიმპიური, ნეიტრალურ–დამკვირვებლური, რეტროსპექტული, სიმულაციური, გასაიდუმლოებული, იმპერსონალური, პანორამული, დრამატიზებული, ლირიკული პოზიციური ტიპები. გამოკვლევა დაეყრდნობა თანამედროვე ლიტმცოდნეობითი მეთოდებს და თანამედროვე ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში წარმონდობა.

### პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია, კონკრეტული მხატვრული ტექსტების საფუძველზე შესწავლილ იქნას თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნარატივის თავისებურებანი და ამ თვალსაზრისით გარკვეული პარალელები გაივლოს ევროპულ ლიტერატურასთან.

### პროექტის ამოცანა

გამოკვლევულ იქნას და გაანალიზდეს:

1) ფაბულა და სიუჟეტი, როგორც ნარატიული ინსტაციები; 2) თხრობის, ისტორიისა და დისკურსის ურთიერთდამოკიდებულება; 3) პერსონაჟთა მოქმედების თანმიმდევრობის ლოგიკა; 4) პერსონაჟთა პერსპექტივებს შორის მსგავსება–განსხვავება; 5) ნარატიული ფიგურები; 6) თხრობით ტექსტებში დროითი სტრუქტურები, 7) მთხრობელებისა და პერსონაჟების თვალთახედვათა მრავალფეროვნება; 8) ფოკალიზაცია; 9) ხმა (ტექსტის ინტენციონალობა).

### პროექტის განხორციელების გზები

სათანადო თეორიული ლიტერატურის მოძიებისა და დამუშავების საფუძველზე თანამედროვე ლიტერატურის კონკრეტული მხატვრული ტექსტების გაანალიზებით (ოთარ ჭილაძე, ოთარ ჩხეიძე, გურამ დონანაშვილი, რეზო ჭეიშვილი, გოდერძი ჩოხელი, გივი მარგველაშვილი, აკა მორჩილაძე, კოტე ჯანდიერი, გურამ ოდიშარია, გელა ჩქვანავა, ირაკლი სამსონაძე, ვანო ჩხიკვაძე, კობა იმედაშვილი, ზაზა თვარაძე, ზურაბ ლავრელაშვილი და სხვ.), რაც მათი ჟანრული თავისებურებების გათვალისწინებას გულისხმობს, მხატვრული დროისა და სივრცის კატეგორიების არსისა და მნიშვნელობის წარმონდობა, ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლის შემუშავება ტიპოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით.

### მოსალოდნელი შედეგები

შეიქმნება გამოკვლევა, რომელშიც საგანგებოდ წარმოიხდება თანამედროვე ლიტერატურის ნარატიული თავისებურებანი და სხვადასხვა დისკურსთა ფუნქციები მხატვრულ სისტემაში. გამოკვლევის შედეგები, დებულებები, დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას ლიტერატურის ცალკეული სალექციო კურსის შემუშავებისას.

### **შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

პროექტის შესრულების პროცესში, სამ თვეში ერთხელ, საინსტიტუტო სემინარზე წარმოდგენილი და შეფასებული იქნება მიმდინარე სამუშაოს ანგარიში. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში.

**პროექტის კორდინატორი:** მათა ჯალიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

## ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (ოცტომეული)

### XVI-XX ტომების გამოსაცემად მომზადება

(2008)

#### პროექტის აღწერა

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 2007 წელს განხორციელებული პროექტით გრძელდებოდა მუშაობა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე. მომზადდა და წლის ბოლომდე დაისტამბა კიდევ X-XV ტომები, რომლებშიც შევიდა ქართველი კლასიკოსის მდიდარი პუბლიცისტური მასალა, მათ შორის მრავალი ათეული ისეთი წერილი, რომელიც ავტორის სიცოცხლეში განხორციელებული ერთადეთი პუბლიკაციის შემდეგ არსად იყო გამოქვეყნებული. გამოცემის მზადებისას გამოყენებულ იქნა ტექსტოლოგიური კვლევის როგორც კლასიკური, ისე უახლესი საშუალებები. მასალას დავურთეთ სამეცნიერო აპარატი, კომენტარები, შენიშვნები და სხვადასხვა სახის საძიებლები.

პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც ოფიციალურ წრეებში, ისე რიგით მკითხველთა შორის. მისი მონაწილეები დაჯილდოვდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სიგელებითა და ფულადი პრემიებით. სამინისტრომ გამოთქვა მომდევნო წელს ამ საქმის ბოლომდე მიყვანის სურვილი და გამოხატა მზადყოფნა მის მხარდასაჭერად.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიქმნა 2008 წელს აკადემიური გამოცემის დარჩენილი ხუთი ტომის მომზადებისა და გამოცემის პროექტი. შევისწავლეთ ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში ოცი წლის წინ შეკრებილი მასალების შედგენილობა. გამოიკვეთა, რომ გათვალისწინებული არ იყო მასში ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი უცხოენოვანი პუბლიცისტის და საქმიანი ქაღალდების შეტანა. ამას გარდა აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ტომების შედგენილობიდან გამორჩენილია ისეთი პუბლიცისტური მასალა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას თავმოყრილი და დამატებული გამოცემისთვის.

#### პროგრამის მიზანია

ქართველ მკითხველს მიაწოდოს ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების, თარგმანების, პუბლიცისტის, ზეპირი გამოსვლების, ეპისტოლური მემკვიდრეობის, საარქივო ჩანაწერებისა და დოკუმენტების ამსახველი შეძლებისდაგვარად სრულყოფილი, აკადემიურად მომზადებული გამოცემა, რომელიც თავისი შედგენილობითაც და მეცნიერული დონითაც უკეთესად წარმოაჩენს ქართველი ერის უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მოღვაწის სახეს.

#### პროგრამის განხორციელების გზები

XVI ტომის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს ილია ჭავჭავაძის რუსულენოვან პუბლიცისტურ მასალას, შედგენილია, მაგრამ მოითხოვს შევსებას და ტექსტების გადამოწმებას ნაბეჭდ წყაროებთან.

ამავე ტომში უნდა შევიდეს უცხო ენიდან თარგმნილი პუბლიცისტურ მასალა, რომლის მზადება ბიბლიოგრაფიული პროსპექტის შედგენით უნდა დაიწყოს. მოსაპოვებელია ტექსტები და მოსამზადებელია სამეცნიერო აპარატი.

ასევე თავიდან უნდა დაიწყოს მუშაობა „დამატებანის“ ნაწილზეც. ბიბლიოგრაფიებისა და სხვადასხვა პუბლიკაციების საფუძველზე მოპოვებული უნდა იქნას ტომეულებიდან გამორჩენილი მასალა და დაერთოს პუბლიცისტიკის უკანასკნელ ტომს.

XVII და XVIII ტომების კორპუსის ძირითადი ნაწილი შედგენილია, მაგრამ ტექსტები მოითხოვს ხელნაწერებთან გადამოწმებას, კომენტარებსა და საძიებლებს კი ესაჭიროება შევსება.

XIX ტომის ნაწილის (საარქივო მასალები) ტექსტები შეკრებილია, მაგრამ სჭირდება დედნებთან გადამოწმება, სამეცნიერო აპარატისა და საძიებლების სრულყოფა.

რაც შეეხება ამავე ტომში შესატან საქმიან ქაღალდებს, მოგვეპოვება ტექსტოლოგიის განყოფილებაში საქართველოს ცენტრალური არქივიდან ოცი წლის წინ გადმოწერილი დაუმუშავებელი მასალა, რომლის საფუძველზეც უნდა შედგეს ტექსტობრივი კორპუსის ძირითადი ნაწილი, უნდა დაემატოს ახლად მოპოვებული სხვა ტექსტები, გაუკეთდეს სამეცნიერო აპარატი და საძიებლები.

XX ტომში გათვალისწინებული გვაქვს მთელ აკადემიურ გამოცემაში შემავალი მასალის ბიბლიოგრაფიის დაბეჭდვა ტომების მიხედვით, ტექსტების სათაურების ანბანური საძიებელი, ამასთანავე ტომეულებში შემავალი მასალის ყველა სახის საძიებლის შეტანა შევსებული და სისტემაში მოყვანილი სახით.

### **მოსალოდნელი შედეგები**

ქართველი მეითხველი სრული სახით მიიღებს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას, რის შედეგადაც უკეთ წარმოჩნდება მისი როგორც მხატვრული და პუბლიცისტური ნაღვაწი, ისე ეპისტოლარული მემკვიდრეობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროების ამსახველი მასალები. გამოცემა მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნება არა მხოლოდ ქართული კულტურის, მეცნიერებისა და განათლების მესვეურთათვის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისთვის.

### **შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმი**

პროგრამაზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე წარმოვადგენთ კვარტალურ ანგარიშს, რომელშიც აღნუსხული იქნება, რა გააკეთდა თითოეული ტომისათვის, რა მასალა დაემატა, რა სახის კვლევები ჩატარდა, მომზადდა თუ არა საძიებლები და სხვ. საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლება წარმოვადგინოთ მზადების პროცესში მყოფი ტომის ელექტრონული ვარიანტი.

### **პროგრამის კოორდინატორი**

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ფილ. მეცნ. დოქტორი მარია ნინიძე. პროექტი ხორციელდება მეცნიერთა ჯგუფის მიერ.

**ძველი ქართული სალიტერატურო ძეგლების საღვთისმეტყველო-თეოლოგიური  
ტერმინოლოგიის სტრუქტურული თავისებურებანი  
(2008)**

**პრობლემის აღწერა:**

ქართული სალიტერატურო ენა მდიდარია ტერმინოლოგიური მასალით. ტერმინოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა და ეპოქის ხასიათი და პრობლემათა მიმართულება მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ტერმინოლოგიის სტრუქტურულ თავისებურებას. ამასთან, ესა თუ ის სალიტერატურო ჟანრი განაპირობებდა ძეგლის ტერმინოლოგიური სტრუქტურის ხასიათს. ეგზეგეტიკური ძეგლებში ფართოდ არის წარმოდგენილი საღვთისმეტყველო-თეოლოგიური - ლოგიკური და ონტოლოგიური (მეტაფიზიკური) ტერმინები, აგოგრაფიაში - დოგმატურ-საღვთისმეტყველო. სალიტერატურო ძეგლების ტერმინოლოგიის სტრუქტურული კვლევა ქართულ სამეცნიერო წრეებში დაწყებულია და არსებობს მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც, მაგრამ ძეგლების დიდი ნაწილი აღნიშნული თვალსაზრისით შეუსწავლელია.

**პროგრამის მიზანი:**

ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ ყოფით-ლექსიკური ტერმინოლოგიის კვლევა საინტერესოა არა მხოლოდ ქართული სამწერლობო ენის განვითარებისა თუ სხვადასხვა სალიტერატურო სკოლის მიმართულებათა შესწავლის თვალსაზრისით, არამედ აუცილებელია, ასევე, ამა თუ იმ მთარგმნელისა თუ ავტორის ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის დადგენისათვის. ამ თვალსაზრისით შესწავლილ ტერმინოლოგიას კი სტატისტიკური მახასიათებლის მნიშვნელობა მიენიჭება მთარგმნელისა თუ ავტორის ვინაობის განსაზღვრისას (ძეგლის მხოლოდ ტერმინოლოგიური მხარის შესწავლა, რა თქმა უნდა, არ მოგვცემს კატეგორიული დასკვნების გამოტანის საშუალებას. ამგვარი დაკვირვებისას გასათვალისწინებელია ძეგლის ყოფით-ლექსიკური და ენობრივ-სტილისტური მახასიათებლებიც).

**პროგრამის ამოცანები:**

ცალკეული ძეგლების მიხედვით ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, ტერმინთა სისტემური შესწავლა. მიმდინარე ერთი წლის განმავლობაში ამ კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა (იხ. წლიური საანგარიშო მოხსენებები), შემდეგი ერთი წლის განმავლობაში ვგეგმავთ გრიგოლ ნოსელის დიდი კატეხიზმოს ტექსტის კრიტიკულ დადგენას და ტერმინოლოგიური სტრუქტურის შესწავლას, გრიგოლ ნოსელის გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის ტერმინოლოგიური სტრუქტურის შესწავლას, ამავე ასპექტით თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების, გრიგოლ ნოსელის პასუხი ექუსთა მათ დღეთათ&N#194;ს, გიორგი მთაწმიდელისეული რედაქცია (ე. ჭელიძის გამოცემა), იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები (კ. დანელიას გამოცემა) შესწავლას (პროექტის ამ ნაწილს განახორციელებს ნ. მრეველიშვილი), აგოგრაფიული ჟანრის თხუზღებებიდან მითითებული თვალსაზრისით შევისწავლით „შუშანიკის წამების“, „აბოს წამების“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“, „ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტებს (პროექტის ამ ნაწილს განახორციელებს ე. ჩიკვაძე).

### **პროგრამის განხორციელების გზები**

პროგრამას განვახორციელებთ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნანა მრევლიშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკატერინე ჩიკვაიძე. პროგრამის განხორციელებისათვის ვგეგმავთ ეგზეგეტიკური (ძირითადად – ნათარგმნი) და აგეოგრაფიული (როგორც ნათარგმნი, ისე – ორიგინალური) ძეგლების კრიტიკულად შესწავლას. კვლევის დაწყების უმთავრესი წინაპირობაა ნათარგმნი ძეგლებისათვის იმ დედნების მოძიება, რომლებიც აღჭურვილი იქნება სათანადო კრიტიკული აპარატით.

### **მოსალოდნელი შედეგები**

წინამდებარე პროგრამის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს მეცნიერული თვალსაზრისით. კვლევის შედეგები დაგვეხმარება როგორც სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპების გაანალიზებაში, ასევე, სალიტერატურო სკოლებისა და ცალკეული მთარგმნელ-მოდერნიზატორების სტილისა და მიმართულების განსაზღვრაში. პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული დასკვნები კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მედიევისტის სფეროშიც.

### **შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

კვლევის შედეგები დასკვნების სახით პერიოდულად გამოქვეყნდება სამეცნიერო გამოცემებში, მოხსენებების სახით წაკითხული იქნება სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე, კვლევითი საქმიანობის ბოლო ეტაპი დასრულდება მონოგრაფიის ამოცემით.





## ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი

(2008)

### პრობლემის აღწერა

ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული თეატრის პატრონისა და ჭირისუფლის ღვაწლი კარგადაა შესწავლილი და შეფასებული. თავის დროზე ამ საკითხს იკვლევდნენ იპ. ვართაგავა, გ. ჯიბლაძე, ი. გრიშაშვილი, ა. მახარაძე, ა. თავზარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ვ. კიკნაძე, რ. შამელაშვილი, ნ. გურაბანიძე, ღ. ჩხარტიშვილი და სხვები. ილიას დამოკიდებულებას ქართული თეატრის მიმართ ჩვენი გამოკვლევა რამდენიმე ასპექტით წარმოაჩენს:

1. ილია ჭავჭავაძის თეატრალური მოღვაწეობა (იგი, როგორც რეჟისორი, მსახიობი და დეკლამატორი);
2. ილიას ესთეტიკური თვალსაზრისი ზოგადად თეატრისა და, კერძოდ, მსახიობის ხელოვნების შესახებ;
3. ილია, როგორც თეატრალური კრიტიკოსი.

ილიასათვის ქართული თეატრი ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი ტაძარი იყო. თავის წერილებში იგი თეატრალური ცხოვრების ისეთ პრობლემებს ეხება, როგორებიცაა სარეპერტუარო პოლიტიკა, მსახიობის ოსტატობა, მეტყველების კულტურა, თნამედროვე ორიგინალური დრამატურგია და სხვა. ილია მოითხოვდა რეპერტუარის გადახედვასა და დახვეწას, ამით იგი ქართულ თეატრს თეორიულ ბაზას უქმნიდა. ამ და ბევრ ასეთ პრობლემას შეეხება ჩვენი შრომა.

**პროგრამის მიზანია** მთლიანობაში იქნას გააზრებული, დანახული, შეფასებული და დაფასებული ილია ჭავჭავაძის თეატრალური მოღვაწეობა, გამოიკვეთოს ის უმთავრესი, რომელიც, ილიას აზრით, ქართული თეატრალური ხელოვნების უპირველესი მისიაა – ზნეობის, ეთიკის, კეთილშობილების, ადამიანობის, პატიოსნების, მამულისა და მოყვასის სიყვარული, ქართული ენის სიწმინდის დაცვა! ასეთი მიდგომა თანამედროვე ქართულ თეატრს შემოქმედებითი ცხოვრების ახალ რეალობას უქმნის.

### პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამის განხორციელება მოითხოვს გულდასმით მუშაობას წყაროებზე, ილიას წერილებზე, პერიოდულ პრესაზე, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობასა და ახლებურ შეფასებას, საკითხის ახალი ასპექტების გამოკვეთასა და კვლევის შედეგების ჩამოყალიბებას.

### მოსალოდნელი შედეგები

მთლიანობაში იქნება გააზრებული და წარმოდგენილი ილიას თეატრალური მოღვაწეობა, მისი სამსახიობო თუ რეჟისორული ძიებანი, მისი თეატრალური მრწამსი და ესთეტიკა. ეს კი ხელს შეუწყობს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთიანი პროცესის აღქმას, მისი პიროვნების მრავალმხრივობისა და მრავალსახეობის წარმოჩენას.

### შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

2008 წლის ყოველ კვარტალში განყოფილების სხდომებზე სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა-განხილვა.

**პროგრამის კოორდინატორი:** საბა-ფირუზ მეტრეველი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

## **პოსტსაბჭოთა ქართული სალიბერალური კრიტიკის ანთოლოგია**

(2008-2009)

### **პრობლემის აღწერა**

90-იანი წლების ქართული ლიტერატურის შესახებ არსებული არცთუ მცირერიცხოვანი სტატიები თავმოყრილი სახით დღემდე არ გამოცემულა. ისინი გაბნეულია როგორც ლიტერატურულ პერიოდიკაში, ისე ავტორთა წიგნებში.

**პროგრამი მიზანია** არსებული ხარვეზის შევსება, მკითხველისათვის ლიტერატურულად და მეცნიერულად ღირებული სტატიების ერთი კრებულის სახით მიწოდება. ჩვენი ამოცანაა არსებული მასალის საფუძველზე გავაანალიზოთ და შევაფასოთ პოსტსაბჭოთა ლიტერატურასა და კრიტიკაში მიმდინარე პროცესები. მათ სრულად წარმოსაჩენად დისკურსები ყველა არსებით მიმართულებას მოიცავს, განურჩევლად ავტორთა ასაკობრივი ცენზისა და თვალსაზრისთა შორის სხვაობისა. საგანგებო მახვილები გაკეთდება კულტურულ ორიენტრთა უარყოფა-დამკვიდრების ტენდენციებზე, კვლევის თანამედროვე კონცეფციებზე, რომელთა მიმართ კრიტიკისა და საზოგადოების საგრძნობი ნაწილი გულგრილი ან მოუშადებელი აღმოჩნდა.

### **პროგრამის განხორციელების გზები**

პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგება: ქრესტომათიული ნაწილი დაეთმობა ოცდაათამდე ავტორის ნაშრომს, რომლებიც შეგროვდა და სისტემატიზირდა 2007 წელს თავად სტატიების ავტორებთან კონსულტაციის გზით. 2008 წელს დამუშავდება პროექტის ანალიტიკური ნაწილი, კერძოდ, გამოკვლევული იქნება 90-იანი წლებიდან დღემდე კრიტიკაში მიმდინარე პროცესები.

ილუსტრაციული კრიტიკის ინტერპრეტაციულით თანდათანობით ჩანაცვლება მკითხველს საშუალებას მისცემს, მხატვრული ტექსტის წრფივი, პასიური აღქმიდან კრიტიკოსის თანაგანმსჯელის პოზიციაზე გადაინაცვლოს (იმისდა მიუხედავად, მისი პოზიცია ემთხვევა თუ ეწინააღმდეგება კრიტიკოსისას). პროგრამის განმარტებითი ნაწილის სახელმძღვანელო პრინციპია სათქმელის ცხადად გადმოცემის პრაქტიკა.

### **პროგრამის შედეგები**

წიგნი დაეხმარება მკითხველს სწორი წარმოდგენა შეექმნას თანამედროვე ქართული სალიბერალური კრიტიკის განვითარების ტენდენციებზე, სიახლისა და ტრადიციის მიმართ დამოკიდებულებაზე. იგი განკუთვნილი იქნება არა მხოლოდ ლიტერატურისმცოდნეთათვის, არამედ – მწერლობით დაინტერესებული ყველა მკითხველისა და, უპირველესად, ქართული ლიტერატურის პედაგოგებისათვის.

**პროგრამის კოორდინატორი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ზაზა გოგია.

### **შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები**

ქრესტომათიისთვის შერჩეული მასალა განხილული იქნება განყოფილების მუდმივმოქმედ სემინარებზე. თეორიულ ნაწილს, მოხსენებების სახით, სამ თვეში ერთხელ მოისმენს ქართული ლიტერატურის განყოფილება.

## **„ვეფხისტყაოსანი“ და თანამედროვე კომპარატივისტიკის საკითხები**

(2008)

### **პროგრამის აღწერა**

რუსთველოლოგიის პრობლემატიკა მოიცავს ისტორიულ-ფილოლოგიურ და მხატვრულ-ესთეტიკურ საკითხთა ფართო წრეს. მეტნაკლები სისრულით დამუშავებულია მრავალი საკითხი, დაწყებული პოემის ხელნაწერებით და რუსთაველის პოეტიკის ჩათვლით. თანამედროვე მეცნიერული კვლევის მოთხოვნებმა მოიტანა ახალი ხედვის, ახალი მიმართულებების გამოკვეთის საჭიროება. თანამედროვე რუსთველოლოგია უნდა შეესატყვისებოდეს ლიტერატურული კვლევის უახლეს პრინციპებს. რუსთველოლოგიაში ტრადიციულია კომპარატივისტული ძიებანი, რომელსაც XIX საუკუნეში ეყრება საფუძველი. თანამედროვე კომპარატივისტიკა საჭიროებს რეცეპციული ესთეტიკისა და სხვა უახლესი მეთოდების ჯეროვან გამოყენებას.

**პროგრამის მიზანია** რუსთველოლოგიის მონაპოვართა საფუძველზე და ახლებური მეთოდების მიხედვით გაღრმავდეს ტრადიციული, საკვანძო პრობლემების შესწავლა და წარმოხედეს ახალი პრობლემატიკა განსაკუთრებით უახლესი კომპარატივისტიკის საფუძველზე.

### **პროგრამის განხორციელების გზები**

პროგრამა განხორციელდება შემდეგი თემების დამუშავების საფუძველზე:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის პრობლემისათვის (მ. კარბელაშვილი)
2. „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკა და ტიპოლოგიური მიმართებანი (ნ. გონჯილაშვილი)
3. „ვეფხისტყაოსანი“ და პოსტმოდერნიზმის საკითხები (ლ. კარიჭაშვილი)
4. მიღმა სოფელი „ვეფხისტყაოსნში“ და კომპარატივისტული ძიებანი (თ. ხვედელიანი)
5. ირაციონალური ნაკადი „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში (რ. სირაძე)

### **მოსალოდნელი შედეგები**

ნაშრომში შეჯამდება ძირითად მიზნებთან დაკავშირებული ტრადიციული მონაპოვარი და ახალი საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ კომპარატივისტული შესწავლისათვის.

### **შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

I ეტაპი – 2008 წლის იანვარ-მარტი – მასალების მოპოვება, შესწავლა-დამუშავება, საანგარიშო მოხსენებები სამუშაოს შესახებ.

II ეტაპი – 2008 წლის აპრილი-ივნისი – ინდივიდუალური მუშაობა კონკრეტულ პრობლემატიკაზე. საანგარიშო მოხსენებები.

III ეტაპი – 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერი – წარმოდგენილ ნაშრომთა სამეცნიერო და საგამომცემლო რედაქტირება.

IV ეტაპი – 2008 წლის დეკემბერი – შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა.

**პროგრამის კოორდინატორი:** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ სირაძე.

**ფერდინანდ დე სოსიურის წიგნის "ლინგვისტიკა და სემიოლოგია" თარგმანი  
(2008-2010)**

**პრობლემის აღწერა**

პროგრამა “ფერდინანდ დე სოსიურის წიგნის "ლინგვისტიკა და სემიოლოგია"-ს თარგმანი"-სთვის უკვე გაფორმდა ხელშეკრულება გერმანულ გამომცემლობა Surkamp Verlag-თან, რომლის თანახმადაც, ტექსტის ქართულ ენაზე თარგმანის ექსკლუზიური უფლება გადმოგვცეს. ხელშეკრულების პირობები უკვე შეთანხმებულია. წიგნი უნდა ითარგმნოს არაუგვიანეს 18 თვისა.

**პროგრამის მიზანი**

თანამედროვე ჰუმანიტარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოსიურის ნაშრომების გაცნობა. მით უმეტეს, რომ მან თანამედროვე ლინგვისტიკის და სემიოტიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ამ თვალსაზრისით, ეს ძალიან სასარგებლო საქმე იქნება და დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებს, ისე ლიტერატურათმცოდნეებს, ლინგვისტებს და ხელოვანებს.

**პროგრამის ამოცანები**

პროგრამა ითვალისწინებს ფერდინანდ დე სოსიურის წიგნის “ლინგვისტიკა და სემიოლოგია” გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმანს, რედაქტირებას და აუცილებელი განმარტებების დართვას.

**პროგრამის განხორციელების გზები**

პროგრამაზე იმუშავენ მთარგმნელთა 4-კაციანი ჯგუფი, რომელთა თარგმანების რედაქტირებაში პარალელურად ჩაერთვება 3 რედაქტორი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტექსტს აუცილებელ განმარტებებს დაურთავენ.

**მოსალოდნელი შედეგები**

წიგნის თარგმანი მნიშვნელოვანი იქნება ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის და დიდად დაეხმარება სტუდენტებს, ლიტერატურათმცოდნეებსა და ხელოვანებს ამ ფრანგი მოაზროვნის მსოფლმხედველობის გაცნობაში. მით უფრო, რომ ზემოხსენებული ნაშრომი ფერდინანდ დე სოსიურის საეტაპო მნიშვნელობის ტექსტია და აქამდე მისი არცერთი ნაწილი არ არის ქართულ ენაზე თარგმნილი.

**შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები**

პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს 4 ლიტერატურათმცოდნე და 3 რედაქტორი. მუშაობის შედეგების განხილვა ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

**პროგრამის კოორდინატორი:** გაგა ლომიძე.